პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 ნოემბერი სამშაბათი 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 265 (15175)

ხუთწლედი — ვადამდე!

...სოციალისტური შეჯიბრების მთავარი მიმართულება უნდა იყოს მშრომელთა დარაზმვა შრომის ნაყოფიერების ყოველნაირად გადიდებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, შრომითი დანახარჯების შემცირებისათვის, ნედლეულისა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მომჰბირნეობისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

105 ათასი მანეთი ეკონომია

თბილისი. (საკ. კორ.). ახალი ხუთწლედის პირველ წელიწადს მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ამთავრებს თბილისის № 2 სტრიკოტაჟო ფაბრიკის (დირექტორი ღ. ბენდელიანი, მთავარი ინჟინერი მ. რიჟამაძე) კოლექტივი. სოციალისტური შეჯიბრების გაფართოებით მეტრიკოტაჟეებმა პირნათლად გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულებანი, ათ თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 576 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, მოახდინეს 473 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია და მარტო ცხრა თვეში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით 105 ათასი მანეთი ეკონომია მიიღეს: შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 5 პროცენტით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ფაბრიკის საქსოვი წარმოების კოლექტივი, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი თ. ყიფიანი ხელმძღვანელობს, აგრეთვე სამკერვალო უბანი (უფროსი ჯ. ტაბატაძე). თავი ისახელეს მკერავთა, მქსოველთა, გამომქრელთა ბრიგადებმა, რომლებსაც ა. აკოპოვა, ნ. გოგიჩოვა და ვ. კვანტალიანი ხელმძღვანელობენ.

ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲢᲝᲜᲔᲑᲘ

ᲤᲘᲐᲚᲢᲣᲑᲐ. (საკ. კორ.). „საგუმბრინის“ მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის მოცულობის ათი თვის დავალება. მაღაროელებმა გეგმის გადამეტებით ამოიღეს 6.100 ტონა ძვირფასი წიაღისეული. მაღაროთა სამმართველომ წარმოების ეფექტიანობის ზრდით კიდევ უფრო აამაღლა რენტაბელობის დონე, გადაჭარბებით შეასრულა მოგების წლიური დავალება და 32 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ

ᲐᲛᲐᲡ წინათ თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ დამონტაჟდა და მწყობრში ჩადგა ახალი სისტემის მანქანები. მაუდის ნართის წარმოებაში რესპუბლიკაში პირველად ამუშავდება ეს უნივერსალური მანქანები, რომელთა წარმადობა 25-30 პროცენტით მეტია, ვიდრე არსებული მანქანებისა. ისინი ამაღლებენ ნართის ხარისხს და აუმჯობესებენ შრომის პირობებს. მაღე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 20 ავტომატური უმაქო საქსოვი დაზგა, საწეწი და საქსოვი მანქანები, ლენტური საშრობები და სხვა მოწყობილობა.

სურათზე: მოწინავე მუშა ნათელა ხაჩიძე ახალ დაზგებზე ცვლის დავალებებს 120 პროცენტით ასრულებს.

ფოტო რ. კაპარაბასი. (საქდისის ფოტოქრონიკა).

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

სახიხარულო ცნობებს ღებულ მოსკოვიდან ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სრულიად ხაკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებების შესახებ.

სსრ კავშირის ხე-ტყის და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსა და ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მიენიჭა გულრიფშის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის კოლექტივს.

სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს საქართველოს საწარმოო სამმართველოს თერჯოლის გეოლოგიური პარტიის კოლექტივი მესამე კვარტალში მაღალი საწარმოო-ეკონომიური მაჩვენებლებისათვის დაჯილდოდა სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროსა და გეოლოგია-დაზვერვი სამუშაოების მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ფულადი პრემიით.

სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის, გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მოიპოვა საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს თბილისის № 1 წისქვილკომბინატის კოლექტივმა.

ქუთაისის ლითოფონის ქარხნის კოლექტივმა მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით დაიმსახურა სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. (საქდესი).

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲗ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). № 2 სამკერვალო გაერთიანების კოლექტივმა ვადამდე და გადაჭარბებით, ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით შეასრულა ათი თვის დავალება. მკერავებმა დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს და 290 ათასი მანეთით გადააჭარბეს რეალიზაციის გათვალისწინებულ მოცულობას.

განვლილ პერიოდში სარატოველთა მეთოდის ფართოდ დანერგვის შედეგად მთლიანად გამოშვებული პროდუქციის 95 პროცენტი ახლა პირველი წარმოდგენისთანავე ბარდება. მკერავებმა 11 ათასი კვადრატული მეტრი ქსოვილი დაზოგეს, თვითღირებულების შემცირებით 38 ათასი მანეთის ეკონომია გასწიეს და 82 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

13 ნოემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა მოსკოვში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 54-ე წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსული ჩილეს კომუნისტური პარტიის დელეგაციასთან, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომისიის წევრები ო. მილიასი და ხ. კადემარტორი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

საუბრის დროს ჩილეს კომუნისტური პარტიის დელეგაციამ ილაპარაკა მთავრობის საქმიანობაზე, რომელსაც პრეზიდენტი ს. ალიენდე მეთაურობს, იმაზე, თუ როგორ ხორციელდება სახალხო ერთიანობის კოალიციის პროგრამა, როგორ იბრძვის ჩილელი ხალხი რევოლუციური გარდაქმნებისათვის.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩილეს კომპარტიის დელეგაციას გააცნო, თუ როგორ სრულდება სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის გეგმები და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც განახორციელებს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, იმ ძალების მხარდაჭერის თანმიმდევრულ პოლიტიკას, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დელეგაციამ განაცხადა, რომ მხურვალედ უჭერს მხარს ჩილეს სახალხო ერთიანობის მთავრობას, მის პოლიტიკას და უსურვა შემდგომი წარმატებანი ჩილეს რესპუბლიკის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის განმტკიცებაში.

შეხვედრის დროს, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა ურთიერთ გაზიარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩილეს კომუნისტური პარტიის ურთიერთობის გაფართოების შესახებ. ჩილეს კომუნისტური პარტიის დელეგაციამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს სთხოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია გაგზავნოს ჩილეს კომპარტიის დაარსების 50 წლისთავის დღესასწაულზე. ამ მიწვევას მადლობით დათანხმდნენ.

ორივე პარტიის დელეგაციებმა განაცხადეს, რომ საჭიროა კიდევ უფრო განვითარდეს მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა სსრ კავშირსა და ჩილეს შორის.

საუბარს დაესწრო სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ე. ი. კუსკოვი.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲗᲐ ᲓᲘᲓᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲦᲠᲔᲩᲘᲡ ᲐᲦᲠᲔᲩᲘᲡ

Ვ. ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔᲛ ᲓᲐ Გ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲗᲮᲠᲔᲑᲘ ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ

უკანასკნელ ხანს ქართველი არქეოლოგები კახეთის ტერიტორიაზე აწარმოებენ დიდი მასშტაბის არქეოლოგიურ გათხრებს, რომელთა შედეგად აღმოჩენილია საქართველოს ძველი ისტორიისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები.

ამ დღეებში კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა ახალი, ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩენით დაგვირგვინდა: გაითხარა დაახლოებით 3.600 წლის წინანდელი გორასამარხი, რომელშიც აღმოჩენილია დიდძალი თიხის ჭურჭელი, სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს ნივთები.

დაკრძალვის წესი, მაღალმხატვრულად შესრულებული რამდენიმე ათეული ოქროს ნივთი, მათ შორის საზეიმო ალმის — შტანდარტის ნაწილები — მიუთითებენ, რომ ეს ტომის წინამძღოლის — ბელადის სამარხი უნდა იყოს.

ქართველ არქეოლოგთა ახალი აღმოჩენა ხელს შეუწყობს შუაბრინჯაოს ხანის ქართული კულტურის გენეზისისა და განვითარების წარმატებით კვლევას, ქართულ ისტორიულ „ქვეყანათა“ მეურნეობრივი, კულტურული და ეთნიკური ერთიანობის შესწავლას.

14 ნოემბერს ოვრის ნაპირზე ახალი ისტორიული ძეგლი დაათვალიერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჟავანაძემ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჯაპაბიშვილმა. მათთან ერთად არქეოლოგიური გათხრების ადგილზე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ი. აბაშიძე.

ვ. მჟავანაძემ და გ. ჯავახიშვილმა გულდასმითა და დიდი ინტერესით დაათვალიერეს გათხრის უბნები, დაწვრილებით გაეცნენ აქ აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს.

ამხ. მჟავანაძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დიდის ისტატობით დამზადებული თიხის ჭურჭლისა და უძველესი ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშების გაცნობას.

ვ. მჟავანაძემ გამოთქვა სურვილი, რომ მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდეს არქეოლოგიური კვლევა, გაუმჯობესდეს ძეგლთა დაცვა და მოვლა-პატრონობა.

ამხანაგებმა ვ. მჟავანაძემ და გ. ჯავახიშვილმა ექსპედიციის მონაწილეებს უსურვეს ახალი დიდი წარმატებანი საბჭოთა მეცნიერების სარბიელზე.

ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის გამგე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ა. აფაქიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი ო. ჯაფარიძე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბრინჯაოსა და რკინის ეპოქის არქეოლოგიის განყოფილების გამგე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ბობელიშვილი, ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები ა. ფიცხელაური და შ. დედაბრიშვილი.

(საქდესი).

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ

15 ნოემბერს თბილისში დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების გადასამზადებელი შუამავლობადი კურსების მსმენელთა მორიგი ნაკადის მეცადინეობა. ერთთვიან მეცადინეობას შეუდგნენ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატობის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების საერთო განყოფილებათა გამგეები.

მეცადინეობა გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ.

მეცადინეობის პერიოდში კურსების მსმენელებს წაუკითხავენ ლექციათა-მოხსენებებს სკკპ თეორიისა და პოლიტიკის, მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების, წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის ძირითად საკითხებზე.

მეცადინეობის გახსნას დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე ფ. მახარაძე. (საქდესი).

ᲕᲘ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა კრებული „ვ. ი. ლენინი კადრების შესახებ“. წიგნში შესულია ვ. ი. ლენინის ნაშრომები მთლიანად ან ნაწილობრივ. მისი წერილები და დეპეშები, რომლებიც შეიცავენ მითითებებს კადრებთან მუშაობის ძირეული საკითხების შესახებ.

წიგნი გათვალისწინებულია პროპაგანდისტებისათვის, მასწავლებლებისათვის, პარტიული და საბჭოთა მუშაკებისათვის, მრავალრიცხოვანი პარტიული აქტივისათვის.

(საკდესის კორ.).

ᲛᲣᲨᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲐ

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნომ გადაწყვიტეს 1972 წლის იანვრიდან დეკემბრამდე მოაწყონ მეათხუთლეთა კონფერენცია თემაზე „მუშა მთავარი გმირია“. კონფერენციის მიზანია მუშათა კლასის შესახებ საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა პროპაგანდა.

ნავარაუდევია წლის განმავლობაში მკითხველთა კონფერენციები მოეწყოს საწარმოთა საამქროებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, საერთო საცხოვრებლებში. გაიმართება ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები მწერლებთან და ხელოვნების მოღვაწეებთან, მოეწყობა გამოფენები „საბჭოთა მუშა მხატვრულ ლიტერატურაში“. (საკდესი).

ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲘᲮᲜᲔᲑᲘ

შემუშავებული და მიღებულია მირნის სოციალური განვითარების გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია მეცხრე ხუთწლედისათვის. ამ ხნის მანძილზე შესამჩნევად შეიცვლება ალმასის ქალაქის სოციალური და კულტურული სახე, გაუმჯობესდება მცხოვრებთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები. საექსპლოატაციოდ გადასცემენ სულ ცოტა 50 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს, კულტურის სასახლეს, საცურავ აუზს, საყოფაცხოვრებო საწარმოთა კომპლექსს. აშენდება 5 და 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლები.

ახალგაზრდა ქალაქის მოსახლეობის საშაულო ასაკი ოცდათ წელსაც კი არ აღემატება. ამის გათვალისწინებით მიმდინარეობს კლუბებისა და სპორტული ბაზების მშენობა.

პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია ქალაქის მშრომელთა პროფესიული ოსტატობის, მათი ზოგადსაგანმანათლებლო დონის შემდგომი ამაღლება.

შემუშავებულია წარმოების ყველაზე რთული და შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონისძიებათა კომპლექსი. (საკდესი).

მირნი, იაკუტიის ასსრ.

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

ᲛᲔᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔ ᲛᲐᲪᲘᲕᲐᲠᲘ

მინსკი, (საკდესის კორ.). მინსკის მაცივრების ქარხნის კონვეიერიდან ჩამოვიდა მემილიონე აპარატი. მისი გამოშვება დაემთხვა ახალი მოდელის — „მინსკ-6“-ის წარმოების დაწყებას. ხაუბალეო მაცივარი გადაეცა ქარხნის ვეტერანს ამწყობ ზეინკალს ვ. კულინკს.

ქარხნის კოლექტივი ხუთწლედის დამლევამდე კიდევ ორ მილიონ მაცივარს გამოუშვებს.

ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘᲡ ᲡᲔᲠᲕᲘᲖᲔᲑᲘ

ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘ (დონეცკის ოლქი. საკდესის კორ.). „დონმაშმენის“ ტრესტის მუშაკებმა ქარხნის ჭიმკრის სიმბოლური გასაღები გადასცეს ახალი ფაიფურის ქარხნის კოლექტივს. საწარმოს მშენებლობა ვადაზე ორი თვით ადრე დამთავრდა.

დონეცკის ფაიფურის ქარხანა ერთ-ერთი ყველაზე დიდი საწარმო იქნება უკრაინაში. იგი გამოუშვებს მხოლოდ საადილისა და ჩაის ჭურჭელს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ არქეოლოგთა აღმოჩენამ კახეთში რესპუბლიკის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის გამგეს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ა. აფაქიძეს განმარტა ალაზნის ველზე და ოვრის პირეთში არქეოლოგიური გათხრების შედეგები.

კახეთში ქართველ მეცნიერთა არქეოლოგიური ექსპედიციები, რომლებსაც მეთაურობენ თავიანთი საქმის დიდი ენთუზიასტები ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები **კ. ფიცხელაური** და **შ. დედაბრიშვილი**, სპეციალისტთა უფიდეს ყურადღებას იქცევს.

უკანასკნელ ხანს საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილი ძეგლების მეცნიერული ანალიზი საამედო საფუძველს ქმნის ქართველი ერის ისტორიის ძველი, უძველესი და ანტიკური ხანის, ქართული კულტურისა და ხელოვნების აღორძინელი საფეხურების ახლებურად გაშუქებისათვის. ამ მხრივ პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების აღმოჩენები ალაზნის ველზე და ოვრისპირეთში. ეს არის 3.600-3.700 წლის წინანდელი ნამოსახლარებისა და კულტურული ფენების აღმოჩენის პირველი შემთხვევა საქართველოში.

დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ამ დღეებში კახეთში ნაპოვნ სამარხს, რომელიც როგორც ჩანს, 3.600 წლისა უნდა იყოს. გორასამარხის ღრმა ორმოში მიცვალებულთან ერთად აღმოჩნდა დიდძალი თიხის ჭურჭელი, სპილენძის თხელი ფურცლისაგან გამოკვერილი ორყურა ქვაბი, აგრეთვე საქონლისა და ცხვრის ძვლები. (როგორც ჩანს, მთელი ხარი და ცხვარი გაუტანებიათ „საგზლად“).

მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს რამდენიმე ათეული ნატიფი ხელოვნების ოქროს ნივთი. ოქროს ნივთების ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, მიცვალებულის პირადი სამკაულია, ხოლო უმთავრესი — ოთხი სარიტუალო ალმის, ეგრეთწოდებული შტანდარტის საზეიმო მორთულობას წარმოადგენს, ესე იგი ხელისუფლების ნიშანია. აქ დაკრძალული პირისა, რომელიც, ჩანს, სოციალურად მკაფიოდ გამოყოფილი, დიდი ხელისუფლების მქონე, ტომის წინამძღოლი, ბელადი უნდა ყოფილიყო.

ისტორიული მეცნიერება არ არის განებივრებული 3.600 წლის წინანდელი ასე მდიდრული სამარხების აღმოჩენით. ამიტომ ამ აღმოჩენის მნიშვნელობა შორს სცილდება საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიის ფარგლებს. და მაინც, ამ ახალი სამარხის აღმოჩენას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი კულტურის კერების ისტორიის შესასწავლად.

ახლად აღმოჩენილი გორასამარხის, კერძოდ, თიხის ჭურჭელი და ძველქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები გვიჩვენებენ მხატვრული ხელოსნობის დიდ დაწინაურებას, კვერვის, ჭედვის, ფილიგრანის, ტვიფრვის, რჩილვის მაღალ ტექნიკას, სპილენძის, ბრინჯაოს, ვერცხლისა და ტყვიის დამუშავების დიდ ხელოვნებას.

ახალი მასალები საოცრად ეხმიანება თრიალეთის ოქროს გორასამარხებს და გვაფიქრებინებს, რომ ამ ორ ძველ ქართულ „ქვეყანას“ — თრიალეთსა და კახეთს მჭიდრო სამეურნეო კავშირი ჰქონიათ. უფრო მეტიც, მიუთითებს განვითარების ერთნაირ დონეს და მეურნეობრივ ერთიანობას: ირკვევა, რომ ალაზნისა და ოვრისპირეთის შუაბრინჯაოს ხანის მოსახლეობა, რომელსაც დაწინაურებული მიწათმოქმედება ჰქონია, ასევე ფრიად განვითარებული მესაქონლეობისათვის საზამთრო საძოვრებად იყენებდა ალაზნისა და ოვრისპირეთს, ხოლო საზაფხულო საძოვრებად — თრიალეთის ზეგანს. ეს უკვე სცილდება უბრალო ურთიერთობის ფარგლებს და წარმოგვიდგება როგორც მეურნეობრივი ერთიანობა. ამას უნდა მოჰყოლოდა ამ ორი თემის კულტურული ერთიანობა, რასაც მკვლევრები ფრაგმენტულად ადასტურებენ აღმოჩენილი ნივთები.

უნდა აღინიშნოს, რომ თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის კერამიკისა და ლითონის საინტერესო ანალოგი აღმოჩნდა მესხეთ-ჯავახეთში (პროფესორ ო. ჯაფარიძის გათხრები), შიდა ქართლში, ქვემო ქართლში (გ. გობეჯიშვილის გათხრები). ამრიგად, სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საქმე ეხება არა შუაბრინჯაოს თრიალეთის ლოკალურ კულტურას ან ამ კულტურის ელემენტების რაღაცას, არამედ შუა ბრინჯაოს ხანის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს კულტურას.

უკანასკნელი არქეოლოგიური მონაპოვრები კვლავ ცხადყოფენ ქართული ტომების ერთიანობას უკვე ისე ადრეულ ეპოქაში, როგორიცაა შუაბრინჯაოს ხანა, ესე იგი 3.600 წლის წინათ.

ქართველ არქეოლოგთა მუშაობა კახეთში გრძელდება. იმედი გვაქვს, რომ ქართული მიწის წიაღში კიდევ ბევრი დიდმნიშვნელოვანი ძეგლი აღმოჩნდება, რომლებიც ნათელს მოჰფენენ ქართული ერის უძველეს ისტორიას.

(საქდესი).

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ალბრდა — მთავარი უბანი

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

საქმისათვარენერგრს ცხაკაიას ელექტროსელების კომუნისტ ებ ი უკლებლივ მოიდგნენ საანგარიშოსაარჩევნო კრებაზე. 52 კომუნისტი ლოტა ალა როდია ამ მიტად მნიშვნელოვანი წარმოებისათვის, რომლის სამუშაოთა თრონბი დიდია და რესპუბლიკის ფარგლობს გარეთ არსებულ ენერგოსისტემას უკავშირდება, მისი უშორესი რაიონების ქსელებს აწვდის ენერგიას.

კრება დაიწყო... პარტიბიუროს მდივანმა ბ. ჯინორიძემ საანგარიშო მოხსენებაში ბაწყალი მუშაობის მაუწყებელი ციფრები და ფაქტები დაასახელა.

მთავარი, რაც შეიძლება ამ კრების შინაარსიდან გამოვყოთ. ის იყო, რომ მომხსენებელი და მოკამათენი ვრცლად ლაპარაკობდნენ თვითეული კომუნისტის, წარმოების ყველა თანამშრომლის იდეური სიმწიფის აუცილებლობაზე, მინდობილი საქმისადმი მათი პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

რა ღონისძიებებს ახორციელებდა პარტბიუროო საანგარიშო პერიოდში?

როგორც ცნობილია, პარტიული კრება კომუნისტთა აღზრდის სკოლაა. ამიტომ მთელი ყურადღება გადატანილი იყო იმაზე, რომ აქ ყოველი კრება საგულდაგულოდ მოემზადებინათ. მასში აქტიურად ჩაებათ კომუნისტები. პარტორგანიზაციის პირო რა განსაკუთრებით ზრუნავდა, რომ ყოველ გადაწყვეტილებას სასურველი პრაქტიკული შედეგი მოჰყოლოდა, კომუნისტთა ყოველ სწორ შენიშვნასა და წინადადებას, კრიტიკულ ბამოსვლას დროულად გამოხმაურებოდნენ, მიეღოთ ზომები.

კომათის მონაწილეებმა ლ. კარტოზიამ, ო. ჭანტურიამ და სხვებმა განსაკუთრებით მოიწონეს პარტბიუროს მუშაობის სწორედ ის მხარე, რომელიც კრებებსა და სხვა პარტიულ ღონისძიებებში აქტიურად იყენებდა კომუნისტებს, სწორად ანაწილებდა დავალებებს და მათს შესრულებაზე აწესებდა სათანადო კონტროლს. როგორც ითქვა, პარტბიუროს წესად ჰქონდა შემოღებული კომუნისტების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების და წინადადებების სპეციალური ჟურნალი. ამ ჟურნალში თვალნათლივ ჩანს, თუ ვის რა დავალება, ვინ არის პასუხისმგებელი საქმის ბოლომდე მისაყვანად, რა ბედი ეწია ამა თუ იმ კრიტიკულ შენიშვნას ან წინადადებას. კომუნისტებს სჯერათ, რომ მათი სიტყვა უშედეგოდ არ დარჩენა.

აი რატომ არის, — ამბობდნენ კრების მონაწილენი, — რომ ჩვენთან კრებები მაღალ დონეზე იწყობა. საანგარიშო პერიოდში არსებული სიძნელეების მიუხედავად (კომუნისტებს შორი-შორ უბნებზე უხდებოდათ შრომა). ადგილი არ ჰქონდა როდისმე კრების ან პარტბიუროს სხდომის ჩაშლას.

რა თქმა უნდა, ეს მეორე მხრივ ამაღლებს თვით კომუნისტების პასუხისმგებლობას, აძლევს ინტერესს ინიციატივას, რომ მიტად იფიქრონ წარმოების ბედზე, თავიანთი პირველადი პარტორგანიზაციის ბრძოლის-უნარიანობის ამაღლებაზე, გამოიჩინონ საქმეში მეტი ინიციატივა და თვითმოქმედება.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა კონკრეტული მაგალითების მოყვანით ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვეს, თუ რა უდიდესი როლი აკისრია ადამიანთა აღზრდაში, პარტიის წინასწარდასახულობათა შესასრულებლად მასების დარაზმვაში პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას.

ელექტროსელების კომუნისტებისათვის, უპარტიო აქტივისათვის შექმნილია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სამი სკოლა. რომელთაგან მომზადებული და საქმისათვის მონდომებული კომუნისტები მ. გვალია, ნ. სამინავა და ლ. კარტოზია ხელმძღვანელობენ. როგორც თქვეს, ამ სკოლებმა წელს ორგანიზებულად დაიწყეს მეცადინეობა. დასასრულს ის კომუნისტებიც, რომელიც განსაკუთრებით ცდილობენ ამაღლონ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური ცოდნის მომზადების დონე.

კრებაზე ბევრი ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე — „შრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესების შესახებ". მოითხოვეს, რომ ახალარჩეულმა პარტბიუროომ თავის ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად ჩათვალოს ეკონომიური სწავლების დონის ამაღლება. თუ ეკონომიკა კარგად არ შეეთვსწავლეთ, — თქვეს მათ, — ძნელია აღმოვიჩინეთ თანამედროვე სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაჭრის დონეზე.

„საქმთავარენერგოს" ცხაკაიას ელქსელების დირექტორმა მ. გვალიამ და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში ყურადღება გაამახვილეს კადრების გადამზადების საკითხებზე, კერძოდ, მათ გამოთქვეს სურვილი მოეწყოს „კომუნისტური შრომის სკოლები", სადაც ახალგაზრდობა ისწავლის, ქვალიფიკაციას აიმაღლებს. ქსელში ტრანსმატიზმის შემოსვლასაც ჰქონდა ადგილი. ამის ერთ-ერთ მიზეზად დასასახელეს უსაფრთხოების ტექნიკის არასაკმარისი ცოდნა.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებს საკმაოდ დიდი ყურადღება დაუთმეს მომხსენებელმაც და კამათის ბევრმა მონაწილემაც. შეჯიბრებაში ჩაბმულია 8 ქსელი, 4 ჯგუფური ქვესადგური, 28 ბრიგადა. ცხაკაიას ქსელების მუშაკებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სოხუმელი თანამოამქეები. აღინიშნა საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულება რიგორც მარშან, ისე მიმდინარე წლის 9 თვეში.

კომუნისტების კრიტიკული შენიშვნებიდან, რომლებიც აქ გამოითქვა და რამაც ასახვა ჰპოვა კრების დადგენილებაში, გვინდა მოვიყვანოთ ზოგიერთი. მაგალითად, საგიტაციო მუშაობა პრიორიტეტ ხასიათს აკარებს, საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შემდეგ იგი ძლიერ მინელდა. ქსელში შექმნილია სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიც 70 წევრია გაერთიანებული. წელს საბჭომ მიიღო სამი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან წარმოებაში მხოლოდ ერთი დაინერგა. მეტი ყურადღება სჭირდება ახალგაზრდობის აქტივობის აამაღლებასაც.

პროპაგანდისტმა ნ. სამინავამ განაცხადა, რომ ძალზე ძნელია იმოვნო ნ ნ ე ბ ი მარქსიზმ-ლენინიზმის სკოლებისათვის. თემები გაბნეულია სხვადასხვა ნაშრომებში და ზოგიერთ მსმენელს არ შესწავლა უნარი ეძლოს ისინი. მისი აზრით, ხომ არ შეიძლებოდა ძირითადი თემები მაინც ერთ წიგნში მოქცეულიყო? ასეთ წიგნს ყველა შეიძენდა...

საქმიანი, გულახდილი საუბარი კარგახანს გაგრძელდა. მიღებულია საჭირო დადგენილებაც. ამიტომ მთავარი ის არის, რომ ახალარჩეულმა პარტბიუროომ დროზე და ყურადღებით მოკიდოს ხელი კომუნისტთა განაწესის შესრულებას.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ი. ბანკი საქართველოში

საქართველოს ცხოვრებას ოთხი დღის განმავლობაში ეცნობოდა რუმინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ი. ბანკი. ეწვია ქ. თბილისს, ეკიდის ... ლობას, სატყეო და წყალ... ნეობის მინისტრი ... საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბ. რუნოვთან ერთად მან იმოგზაურა რესპუბლიკაში.

ბორთს რაიონში ი. ბანკმა დათვალიერა მეჯვრის ხეხვის მეფრინველეობის ფაბრიკა, გაეცნო წარმოების ორგანიზაციას სოფელ ტყვავის კოლმეურნეობაში და კვლევის მუშაობას საქართველოს მეცნიერების, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის გორის ექსპერიმენტულ ბაზაში. ბორჯომში გაეცნო მშრომელთა დასვენებას ჯანმრთელობის კერებში. სტუმრის ყურადღება მიიპყრო სამკურნალო სარწყავმა სისტემამ.

როცა თავის შეთბეჭდილებებზე ილაპარაკა, რუმინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ საქართველო, სადაც მიწათმოქმედების კულტურა რამდენიმე ათასწლეულს მოიცავს, დღეს მოალგანვითარებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკაა. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, თქვა მან, იმის ილუსტრაციაა, თუ რა წარმატებებს მოპოვება შეუძლია ... ბის გამოცდილებას გაზიარება და სპეციალისტების გაცვლა.

15 ნოემბერს ი. ბანკი და მისი თანმხლები პირები მოსკოვს გაფრინდნენ. აეროფრონბე ისინი გააცილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. გელდიაშვილმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ი. რთველიშვილმა, რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა მ. ღვინჯილიამ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. კუპაევამ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბ. გიგიბერიანმ, რესპუბლიკის კვების მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. უნგიადემ, რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. გურგენიშვილმა, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ბ. ფალავანდიშვილმა.

(საქდესი).

ანგარიშგებათა-არჩევნებიდან

ვუშა და წარმოება

დენადობა. რა იწვევს მას?

□

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია სულ უფრო დიდ მოთხოვნას უყენებს შრომითი რესურსების გამოყენების საქმეს. არსებული შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებაზე სახალხო მეურნეობაში დიდ უარყოფით გავლენას ახდენს მუშათა დენადობის მაღალი კოეფიციენტი, რასაც ზოგიერთ საწარმოში ყარაგეული ზრდის ტენდენციია აქვს. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში 1969 წლის განმავლობაში სამუშაოზე მიღებულ იქნა 2.480 კაცი, განთავისუფლდა 2.871; ქიმიურ კომბინატში ამავე პერიოდში მიღებულია 953 კაცი, განთავისუფლდა 910; ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში მიღებულ იქნა 1.114 კაცი, განთავისუფლდა 1.146; 1970 წლს მუშათა დენადობა ამ საწარმოებში — წინა წლთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა, რაც, რა თქმა უნდა, არ არის კარგი მაჩვენებელი. რამდენიმე ობიექტის შემოწმებამ ცხადყო, რომ დენადობის ძირითად მიზეზად კვლავაც რჩება მუშახელის საბინაო პირობების, შრომის ორგანიზაციის არასათანადო დონე, საწარმოთა არარეგმული მომარაგება ნედლეულით და სხვ. რა თქმა უნდა, სხვა მიზეზებთან შედარებით დენადობაზე ნაკლებ გავლენას ახდენს პირადი მოტივები. ადგილობრივი პირობების შეუფუძებლობა.

მუშათა დენადობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად უნდა მივიჩნიოთ არაპროპორციული შეფარდება მრეწველობის ინდუსტრიული განვითარებისა და მოსახლეობის მომსახურების სფეროს შორის. ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ახალგაზრდა მუშებისათვის მორალურ წახალისების ფაქტორებს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ენერგეტიკის მშენებლობაზე საზოგადოებრივი გაწევრვით მოსულმა და საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნებულმა მუშა ახალგაზრდებმა მთლიანად უზრუნველყვეს მშენებლობის მოთხოვნილება მძღოლებზე, მებულდოზერეებზე, მეამწეებსა და ტრაქტორისტებზე. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი გაწევრვით სამუშაოდ მიდიან ყველაზე აქტიური, ენერგიული ადამიანები.

მუშათა დენადობის მიზეზების შესწავლამი ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული სოციოლოგიური კვლევის ელემენტები, ურომლისოდაც ღღეს ძალიან ძნელია მუშათა დენადობის გამომწვევი მიზეზების დადგენა და საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

როცა მუშა სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ განცხადებას წერს, უმრავლეს შემთხვევაში მიუთითებს ერთ მიზეზს, რომ მიდის „სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით". ჩვენი აზრით, საჭირო და აუცილებელია მუშამ განცხადებაში მიუთითოს წარმოებიდან წასვლის ნამდვილი მიზეზი, ეს იქნება გამომუშავების დაბალი დონე, პერსპექტივაში ბინის მიღების შესაძლებლობის ნაკლები ალბათობა, კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა, შრომის ორგანიზაციის დაბალი დონე, საწარმოო ხმაური, მოცდენები, დამოკიდებულება საწარმოს ხელმძღვანელებთან, მატერიალური წახალისების შესაძლებლობა თუ სხვა განმსაზღვრელი ფაქტორები.

სწორედ ამ მიზეზების მთელი კომპლექსის სიღრმით ცალკეული საწარმოების მიხედვით შესწავლამ შეიძლება მოგვცეს საწარმოში მუშათა დენადობის ნამდვილი სურათი და დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი ზემოთ ჩამოთვლილი პირობების გასაუმჯობესებლად. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში თბილისის, ქუთაისის და რუსთავის სამრეწველო საწარმოების მუშათა დენადობის საკითხების შესწავლისა და ანალიზის შედეგად საჭირო გახდა განხორციელებული ისეთი ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსახლეობის შრომითი მოწყობის საკითხების ორგანიზებული წესით წარმართვას და მუშათა დენადობის შემცირებას.

სწორედ ასეთი ღონისძიება იყო ზემდგომი ორგანოების დადგენილება, რომლის საფუძველზეც თბილისში, ქუთაისსა და რუსთავში 1971 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა მოსახლეობის შრომითი მოწყობის ინფორმაციის ბიუროები. რუსთავის მოსახლეობის შრომითი მოწყობის და ინფორმაციის ბიუროს მიერ გაწეული მუშაობის შედეგად 1971 წლის პირველ კვარტალში ქალაქის მრეწველობამ სამუშაოდ მიიღო 717 კაცი. საგრძნობლად შემცირდა მუშათა დენადობა ისეთ საწარმოებში, როგორიც არის მატალურგიული, ქიმიური ბოჭკოს ქარხნები და ქიმიური კომბინატი. კარგი შედეგები აქვს ქუთაისის შრომითი მოწყობის და ინფორმაციის ბიუროსაც, რომელმაც 6 თვის განმავლობაში ქუთაისის სამრეწველო საწარმოებს 1.300 კაცზე მეტი მისცა.

ცნობილია, რომ მუშა ახალი სამუშაოს ძებნაში ბევრ დროს კარგავს. მოსახლეობის შრომითი მოწყობის და ინფორმაციის ბიუროს სამუალებით მუშის ახალი შესაფერისი სასურველი სამუშაოს ძებნის ვადა ძალიან შემცირდა.

ღღეს შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიუროების ხელშია თავმოყრილი ინფორმაციის ყველა საშუალება და იგი მიზნობრივად წარმართავს ამ სამუშაოს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის მუშაობა, რომელიც თბილისის მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიურომ ჩაატარა სადამოს და დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა შრომითი მოწყობისათვის. 180 სტუდენტიდან, რომლებმაც ბიუროს მიმართეს, სამუშაოზე გაიგზავნა 176 კაცი.

საწარმოების დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ მეთოდზე გადასვლაც ხომ ერთ-ერთი ძლიერი ეკონომიური ბერკეტია შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების გზაზე. სწორედ ასეთი ღონისძიებების განხორციელების შედეგად თბილისის მეტროპოლიტენმა 1970 წლის განმავლობაში სამუშაოდან გამოათავისუფლა და გადადამსადა 222 კაცი.

რესპუბლიკაში შრომითი რესურსების რეზერვებს ჯერ-ჯერობით მთლიანად ვერ ვიყენებთ მატერიალური წარმოების სფეროში, ამიტომ დღევანდელ ეტაპზე გადაუდებელ პირობად მიგვაჩნია ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ შრომითი რესურსების გამოყენების საკითხი, რაც ხელს შეუწყობს მუშახელის დენადობის შემცირებას და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

თ. მალრაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის შრომითი რესურსების აღრიცხვისა და დაგეგმვის განყოფილების გამგე.

ვრესტ „ჭიათურმარგანეცის" ახალი ითხვისის მაღაროში მარგანეცის საბადოს საშენდი კომპლექსის საწარმოო გამოცდა მიმდინარეობს. ახალი გამშენდი კომპლექსის გამოცდის განმავლობაში ახალი ითხვისის მაღაროს 2 ათასი კუბმეტრი ხე-ტყის მასალა დაზოგა და მარგანეცის მადნის დაკარგვა მინიმუმამდე შეამცირა.

სურათზე: ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" ახალი ითხვისის ახალი ტექნიკის განყოფილების გამგე გ. კეკელიძე და ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი გ. ფალავანდიშვილი ახალი გამშენდი კომპლექსის კონვეიერის აწყობისას.

ფოტო ა. მაჭავარიანისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

დანაშაული რომ არ მოხდეს

გაანიხილავენ დამნაშავეობის პროფილაქტიკის პრობლემებს

ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გენერალური მიმართულება, როგორც ეს აღინიშნა, სკკპ XXIV ყრილობაზე, გასაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობაა. პარტიის ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „...ჩვენში სულ უფრო დიდად ზრუნავენ დანაშავეობის პროფილაქტიკისათვის, მისი თავიდან აცილებისათვის".

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობამ აგრეთვე აღნიშნა, რომ ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ მით უფრო ეფექტიანი იქნება, რაც უფრო უკეთ წარემართავთ გასაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ მუშაობას.

ყოველივე ეს გვავალებს განვახორციელოთ დამატებით ღონისძიებანი, რათა ყოველნაირად გავაუმჯობესოთ სახელმწიფო ორგანოებისა და მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში და დანაშაულთა პროფილაქტიკისათვის, რაც პრაქტიკულად გადაჭრის პარტიის საპროგრამო ამოცანას დამნაშავეობის ლიკვიდაციის დარგში.

ამის შესაბამისად ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანიზაციები ახორციელებენ სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთმოქმედების განმტკიცებისა და გაფართოების პრაქტიკულ ღონისძიებებს. ამ ერთობლივი მუშაობის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პრაქტიკაში მეცნიერულ დებულებათა და რეკომენდაციათა, აგრეთვე თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა დანერგვაზე. ამ დარგში დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში ფართოდ უნდა ჩაებათ მეცნიერები და პრაქტიკოსი მუშაკები.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრაქტიკაში ტრადიციად გადაიქცა შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის საპრობლემო საკითხთა ყოველმხრივი განხილვა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე. მორიგი ასეთი კონფერენცია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს 15 ნოემბერს გაიმართა თბილისში, ფ. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში. კონფერენციის მიზანია მეცნიერულად განაზოგადოს მიღწეული დამნაშავეობის თავიდან აცილების დარგში, განსაზღვროს პროფილაქტიკური მუშაობის მეცნიერული საფუძვლების შემდეგ, განვითარების პერსპექტივები. სრულყოს შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების, სამხარეო და საოლქო აღმასკომების შინაგან საქმეთა სამმართველოების, მილიციის სატრანსპორტო განყოფილებათა ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე სხვა იმ სამინისტროთა და უწყებათა სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებათა წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემების გადასაჭრელად, პროკურატურის, იუსტიციის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციათა წარმომადგენლები. შინაგან საქმეთა ორგანოების პრაქტიკოსი მუშაკები.

კონფერენციის პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივრებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ო. ვ. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოების განყოფილების გამგე მოადგილე მ. ა. გვასალია, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების პასუხისმგებელი მუშაკები, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, აღმასინსტრაციული ორგანოების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოადგილემ, იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტმა ბ. ა. ვიქტოროვმა. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ კონფერენცია შემთხვევით არ გამართულა თბილისში, რადგან სსრ კავშირთა საქართველოში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პირველად ჩვენს ქვეყანაში შეიმუშავეს და მიმდინარე წლის იანვარში მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება „ამ დარგში ადგილობრივ ორგანოებისა და საზოგადოებრიობის ზრუნვის შესახებ". სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ვ. სოლოვანოვის მოხსენება „რეციდივული დანაშაულობის თავიდან აცილების სამართლებრივი ... ორგანიზაციული ასპექტები" და სხ.

კონფერენცია სამ დღეს იმუშავებს.

(საქდესი).

მარცვლეულის ბრალია?

ერთნაირი ბუნებრივი პირობები — კარტოფილის მოსავალი კი სხვადასხვა

ქარგა ხანია, რაც მეკარტოფილეობა ერთ-ერთ წამყვან დარგად იქცა ახალციხის რაიონში. ამ ბოლო წლებში რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კიდევ უფრო გაიზარდა კარტოფილის ნათესი ფართობები და მოსავლიანობა.

გასულ წელს ახალციხის რაიონში კარტოფილე 1.279 ჰექტარზე ითესა. ჰექტარზე საშუალოდ 129.6 ცენტნერი მოსავალი მიიღეს. კიდევ უფრო მეტი მოსავალი მოიკრიფეს რაიონის ცალკეულმა მოწინავე კოლმეურნეობებმა. რაიონმა დიდი ვადაჭარბებით შეასრულა კარტოფილის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური დავალებები.

ამიტომ მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დასაწყისში. როცა აჯამებდნენ ბასული წლის შედეგებს და სახავდნენ ახალი ხუთწლედის ამოცანებს, ახალციხელმა მეკარტოფილეებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს. ვადაწყვიტეს გაიდიდინათ კარტოფილის ნათესი ფართობები. გავომჯობესებინათ მისი მოვლა-პატრონობა, გავზარდათ მოსავლიანობა, კარტოფილის საერთო წარმოება და სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 9.700 ტონა კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.000 ტონისა.

ნაკისრი ვალდებულებებიდან რაიონის მეკარტოფილეებმა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი პუნქტი შეასრულეს. წინა წელთან შედარებით მართლაც გაადიდეს კარტოფილის ნათესი ფართობები. გაზაფხულზე რაიონში სულ დაითესა 1.547 ჰექტარი კარტოფილი ნაცვლად წინა წლის 1.273 ჰექტარისა. ვალდებულების სხვა დანარჩენ პუნქტებს. როგორც ჩანს, ჯერ შეასრულებენ რაიონის მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობები. ასეთებია — ელიაწმინდის, წყორძის, წყრუთის, ურავლის კოლმეურნეობები, წყალთბილისის და ახალციხის საბჭოთა მეურნეობები სატყეოს დამხმარე საბჭოთა მეურნეობა და სხვ. ისინი არა თუ ნაკისრ ვალდებულებას. სახელმწიფო დავალებასაც ჯერ ასრულებენ. ზოგან ჰექტარზე იმდენსაც ვერ იღებენ, რამდენიც დათესეს. და, როგორც წესი, ჩამორჩენილი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები მოუსავლიანობ ა ს მოლიანად უამინდობით ხსნიან.

სიმართლე უნდა ითქვას, აქაურ მეკარტოფილეებს ჯერ ადრეული გაზაფხულის ყამუდმებულმა წვიმებმა შეუშალა ხელი, შემდეგ ხანგრძლივმა გვალვებმა, მაგრამ განა ასეთსავე არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებში არ უხდებოდათ მუშაობა რაიონის მოწინავე საზოგადოებრივ მეურნეობებს, სადაც კარტოფილის მაღალი მოსავალი მიიღეს?

ამას წინათ ანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას ვეესტუმრეთ. სოფელში შრომისუნარიანთაგან არავინ დაგეხვედა. ერთმა მოხუცმა კარტოფილის ფართობებისაკენ გზა მიგვასწავლა და გვითხრა — ყველა იქ არიანთ. ჩვენც იქით გავწიეთ. მართლაც, მთელი სოფელი — დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი — გამოსულიყო კარტოფილის მოსავლის ასაღებად.

ანელები ასვეე ერთსულოვნად და გულმოდგინედ შრომობდნენ კარტოფილის თესვაზე, ნათესების დამუშავებაზე, გამოკვებაზე. მათ ყველა აგროტექნიკური ღონისძიება თავის დროზე ჩაატარეს, ამიტომ უამინდობამ ბევრი ვერაფერი დააკლო კარტოფილის ნათესებს მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობის სახნავ-სათესები მთლიანად ურწყავშია. მართალია, გვალვების გამო შარშანდელთან შედარებით ცოტათი შემცირდა მოსავლიანობა, მაგრამ ჰექტარზე საშუალოდ 152 ცენტნერი კარტოფილი მაინც მიიღეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 110 ცენტნერისა. კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა კარტოფილის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური დავალება.

კარტოფილის მაღალი მოსავალი მიიღეს აგრეთვე ხეთოსა და ვალეს კოლმეურნეობებმა, აწყურის საბჭოთა მეურნეობამ.

კარტოფილის წარმოების მხრივ დიდი ხვედრითი წონა აქვს წყალთბილის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობას. სწორედ ამ მეურნეობაზე მდიან ახალციხის რაიონში კარტოფილის ნათესი ფართობისა და საერთო წარმოების მესამედზე მეტი. მეურნეობაში გასულ წელს 503 ჰექტარზე ითესთა კარტოფილი. ამ ფართობიდან 61.000 ცენტნერი მოსავალი მიიღეს.

მიმდინარე წელს წყალთბილელებმა 551 ჰექტარამდე გადიდეს კარტოფილის ნათესი ფართობი და ვალდებულება იკისრეს საშუალოდ ჰექტარზე მიეღოთ 125 ცენტნერი მოსავალი, ეწარმოებინათ 68.000 ცენტნერი კარტოფილი, აქედან სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 35.000 ცენტნერი. მაგრამ იმის გამო, რომ წყალთბილის საბჭოთა მეურნეობაში შრომის დისციპლინა ძალიან დაბალ დონეზე დგას, თითქმის ჩაშლილია შრომის ორგანიზაცია, მეურნეობის ხელმძღვანელებმა (დირექტორი ა. აღაბაბიანი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ო. კარაპეტიანი, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე თ. გალუსტიანი, მთავარი აგრონომი ა. სიმონიანი) ვერ შეძლეს მშრომელთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა, მეურნეობის ყველა შრომისუნარიანი წევრი ვერ ჩაბეს კარტოფილის ნათესების მოვლა-პატრონობის საქმეში, ვერ გამოიკენეს თავიანთი წყლის რესურსები და ახლა არა თუ ვალდებულებას, არამედ სახელმწიფო დავალებასაც სანანცვრადაც კი ვერ ასრულებენ.

ისევ და ისევ შრომის ცუდი ორგანიზაციის შედეგად მეურნეობაში ორ თვეზე მეტია ჭიანურდება კარტოფილის მოსავლის აღება.

მეურნეობის ერთ-ერთ აგრუბანში — ნაოხრებში, სადაც მიმინდვრეობის სამი ბრიგადაა, 300-მდე მუშა ქაჯარ. 29 ოქტომბრის ან უბნის სამივე ბრიგადაში კარტოფილის ამოღებაზე მხოლოდ 70-მდე კაცი მუშაობდა. უბნის უფროსმა ს. აბელიანმა გვითხრა:

— დღეს რა გვიჭირს, თითო ბრიგადაში 23 კაცი მაინც მუშაობს. ზოგჯერ ბრიგადაში სამარცხვინოდ 10-12 კაცი ძლივს გამოგვყავს სამუშაოდ.

ამასთან უბნის უფროსმა შემოგვჩივლა, რომ მეურნეობის ხელმძღვანელობა მათ უბანს არ დაეხმარა წყალსაქაჩრის დროულად შეკეთებაში, რის გამო უბნის სამი წყალსაქაჩიდან ერთს სულ არ უმუშავიენია მთელი წლის მანძილზე, ხოლო დანარჩენი ორი ძალიან დაგვიანებით შეკეთდა. ამიტომ უბანში წელს მხოლოდ ერთხელ ძლივს მორწყეს კარტოფილის ნათესები და ისიც ძალიან დაგვიანებით.

წყალთბილის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა რომ უყურადღებობას იჩენს წყლის რესურსების გამოყენებისადმი, იქიდანაც ჩანს, რომ მათ დღემდე თავი ვერ მოაბეს სოფელ აბაიშვილის წყალსაქაჩის მშენებლობას, თუმცა ამ წყალსაქაჩისათვის საჭირო მილები აბაიშვილებმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ შეიძინეს, როცა ცალკე კოლმეურნეობა იყო.

მიმდინარე წელს კარტოფილის წარმოების საქმეში დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა ახალქალაქის რაიონშიც. იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც მაღალ დონეზე იდგა შრომის ორგანიზაცია, სადაც კომუნისტები სანამუშო შრომის მაგალითს აძლევდნენ მშრომელებს, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები დროულად რაზმავდნენ მათ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების მიუხედავად. კარტოფილის შედარებით კარგი მოსავალი მიიღეს. ასევე საზოგადოებრივი მეურნეობებია ბურნაშეთის, ხანდოს, ოროჯალარის. ღილისკის არავის კოლმეურნეობები, ვაჩიანის საბჭოთა მეურნეობაში და სხვ. ამ საზოგადოებრივ მეურნეობებში

მსოფლიო დღეს

ვენაში მოლაპარაკებებზე

ვენა, 15 ნოემბერი. (საკდესი). სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაში მონაწილეობისათვის აქ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვ. ს. სემენოვის მეთაურობით.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობამ დელეგაციას მისცა ინსტრუქცია მოლაპარაკება აწარმოოს საქმიანი და კონსტრუქციული სულისკვეთებით. მიგვაჩნია, თქვა მან, რომ მოლაპარაკების ახალი თაობა, რომლის ძირითადი მიმართულება ზუსტად არის განსაზღვრული სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა ამა წლის 20 მაისის შეთანხმებით. რეალურ შესაძლებლობას გვაძლევს პოზიტიური შედეგების მიღწევისათვის.

რა თქმა უნდა, არსებულ შესაძლებლობათა რეალიზაცია დამოკიდებულია არა მარტო ერთი მხარის, არამედ სწორედ ორივე მხარის მეცადინეობაზე. ამ თვალსაზრისით ვიმედოვნებთ, რომ შევძლებთ წინ წავწიოთ, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ს. სემენოვმა.

10 მილიონიანი ლტოლვილი

დელი, 15 ნოემბერი. (საკდესი). როგორც უკანასკნელი მონაცემები მოწმობენ, 8 ნოემბრისათვის ინდოეთში აღრიცხული იყო 9.741.943 აღმოსავლეთპაკისტანელი ლტოლვილი.

როგორც დღეს გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“ წერს, ლტოლვილთა დიდი უმრავლესობა — 7.363.439 კაცი — ინდოეთიდან დასავლეთ ბენგალიის შტატის ტერიტორიაზეა.

ნოემბრის პირველი კვირის განმავლობაში ინდოეთის საზღვრებზე ყოველდღიურად გადმოდიოდა საშუალოდ 7 ათასი კაცი.

30 წლის შემდეგ

ბელგრადი. 15 ნოემბერი. (საკდესი). იუგოსლავიის ქალაქ კრუშევაცის ცენტრში უანბელყვეს 500-კილოგრამიანი ბომბი, რომელიც 30 წელს იდო მიწაში.

1941 წელს ფაშისტური ავიაციის ქალაქზე თავდასხმის დროს ბომბი ჩამოვარდა მის ცენტრალურ მოედანზე და, საბედნიეროდ, არ აფეთქებულა.

ნახევარტონიანი ბომბის ამოღება მეტად ძნელი იყო — მან გაარღვია სახლის საძირკველი და ორმად ჩაეფლო მიწაში. მოედნის რეკონსტრუქციის დროს იუგოსლავიის სახალხო არმიის მესანგრეებმა მეტად ფრთხილად ამოთხარეს ბომბი და გაიტანეს ქალაქ გარეთ. აფეთქება მოხდა 30 წლის შემდეგ.

სანქარი ატომურ ელექტროსადგურში

ნიუ-იორკი, 15 ნოემბერი. (საკდესი). ინდიან პოინტის (ნიუ-იორკის შტატი) ატომურ ელექტროსადგურში გაჩენილმა ძლიერმა ხანძარმა დიდი ზარალი გამოიწვია. 873 ათასი კილოვატი სიმძლავრის ატომური ელექტროსადგური ამუშავების დაღას, რომელიც თითქმის აშენებული იყო, სპეციალისტები უკვე ვეღარც კი ადგენენ.

მიუხედავად 200 მეხანძრის ენერგიული მოქმედებისა, ცეცხლი მოიდო შენობას, სადაც მოთავსებული იყო ატომური რეაქტორის მართვის ხელსაწყობები, დიდძალი აპარატურა. ორ საათში ცეცხლმა გაანადგურა სამსართულიანი შენობა და დატოვა მხოლოდ რკინაბეტონის კარკასი. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ზარალი შეადგენს სულ ცოტა ათ მილიონ დოლარს.

ბერლინი — ხალხის მტკიცე სიტყვა

15 ნოემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიმართა სახალხო პალატის, საოლქო სახალხო წარმომადგენლობებისა და ბერლინის დეპუტატთა საკალაქო კრების არჩევნები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა პარტიისა და მასობრივი ორგანიზაციის დემოკრატიანებელი ეროვნული ფრონტის საერთო სიებში შეტანილი იყო სახალხო პალატის დეპუტატობის 584 კანდიდატი და საოლქო სახალხო წარმომადგენლობათა დეპუტატობის დაახლოებით 3.660 კანდიდატი.

ყველგან რესპუბლიკაში არჩევნებმა ჩაიარა ერთსულოვნად და ორგანიზებულად, საზეიმო ვითარებაში და მშრომელთა მაღალი პოლიტიკური აქტივობით.

საღამოს გამოქვეყნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის არჩევნებში კენჭისყრის წინასწარი შედეგები. რეგისტრირებული 11.401.062 ამომრჩეველიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11.227.449 კაცმა, ანუ ყველა ამომრჩეველთა 98,48 პროცენტმა.

ეროვნული ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 11.207.235 ამომრჩეველმა, რაც ყველა ნამდვილი ბიულეტენის 99.85 პროცენტს შეადგენს.

არჩევნებმა ჩაიარა როგორც გერმანიის მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ხასლის — განკითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებელი, თავისი საქმის სიმართლესა და სიდიადეში დარწმუნებული ხალხის — დიდმა დღესასწაულმა

სანტიაგო — ფ. კასტრო ჩუკიკამატში

15 ნოემბერი, (საკდესის სპეც. კორ.). კუბის მთავრობის დელეგაცია კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროს მეთაურობით, რომელიც ჩილეში მოგზაურობს, გუშინ ეწვია ჩუკიკამატის სპილენძის მაღაროს, რომელიც უდიდესია მსოფლიოში.

წინათ მაღარო, სადაც სპილენძის ღია წესით იღებენ, ეკუთვნოდა ამერიკის „ანაკონდის“ კომპანიას, ახლა კი ჩილელ მშრომელთა ხელშია.

მაღაროელები ბოლთბილად შეხვდნენ თავიანთ სტუმრებს კუბელის წარმომადგენლებს — ყველგან თრიალებდა ორიგი ქვეყნის ალმები, ფირადი ლოზუნგები და ტრანსპარანტები კუბა-ჩილეს ურთიერთ მეგობრობის პატივსაცემად.

კუბელმა სტუმრებმა, რომლებსაც ახლოდნენ ჩილეს სამთამადნო მრეწველობის მინისტრი ორლანდო კანტურიასი და საწარმოს ხელმძღვანელები, დაათვალიერეს მაღარო, ესაუბრნენ მუშებს, გეკითხნენ მათი შრომისა და ყოფიერების პირობებს.

შემდეგ დიდის ქანტრში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა ფ. კასტრომ. მან აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მაღაროელთა შრომის ნაყოფიერების ზრდას, რადგან ამაზეა დამოკიდებული ჩილეს ეკონომიკის განვითარება და მოსახლეობის ეხოვრების გაუმჯობესება. თქვენ, თქვა ფ. კასტრომ, ადამიწყიტ როლს ასრულებთ ჩილეს ხალხის მასების ეთანამდგომლობის გაუმჯობესებაში.

კუბის დელეგაციის მეთაურმა კუბელ მუშათა მხურვალე სალამი გადასცა შეკრებილთა და განაცხადა, რომ „კუბელი ხალხი სავსებით სოლიდარულია“ ჩილელ ხალხთან, რომელიც ახორციელებს ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს.

მიტინგის მონაწილეებმა ფიდელ კასტრო აირჩიეს კალამის რაიონის (ამ რაიონში შედის ჩუკიკამატა) საპატიო მოქალაქედ.

ლონდონი — „რკინის მუშტის“ კურსი

15 ნოემბერი. (საკდესი). „მასობრივი უმუშევრობა ოლსტერში ახლანდელი კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია“, — განაცხადა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალურმა მდივანმა ვიქტორ ფეზერმა.

გამოვიდა რა გუშინ ბელფასტში მზარდი უმუშევრობის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგზე იმ ფართო კამპანიის ფარგლებში, რომელსაც ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესი ანორგანიზებს, ფეზერმა თქვა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის ზოგიერთ რაიონში სამუშაო არა აქვს თვითმოქმედი მოსახლეობის 20 პროცენტზე მეტს.

ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ინგლისის მთავრობა იმიზეზებს მოღლეარებას ოლსტერში და ფაქტიურად არავითარ ღონისძიებას არ ხმარობს ჩრდილოეთ ირლანდიაში დასაქმების დონის ამაღლებისათვის, ფეზერის განცხადება ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ კრიზისი ოლსტერში გამოწვეულია არა რელიგიური შეღლილი, რითაც ხშირად ცდილობს ბურჟუაზიული პროპაგანდა ახსნას ახლანდელი ამბები, არამედ მოსახლეობის ფართო ფენების მძიმე მდგომარეობით ამ რაიონში.

მაგრამ მთავრობა არავითარ ღონისძიებას არ მიმართავს, რათა გადაჭრას ოლსტერის სოციალური პრობლემები. იგი წინანდელივად ადგას „რკინის მუშტის“ კურსს, რომლის ჩათუშვას ახლა უკვე ინგლისის ბურჟუაზიული გაზეთებიც კი, აგრეთვე ბევრი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ადიარებენ.

ლონდონი, 15 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ მთელი დღის განმავლობაში ჩრდილოეთ ირლანდიის მთავარ ქალაქებში ბელფასტსა და ლონდონდერში ბრიტანელი ჯარისკაცები კვლავ თავს ესხმოდნენ მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლებს.

ბელფასტში ჯარებმა გამოიყენეს „სი-ეს“ ქიმიურსადენი გაზი ერთ-ერთი კათოლიკური რაიონის მოსახლეობის წინააღმდეგ, სადაც აღმართული იყო ბარიკადები. ლონდონდერის ბოგსაიდის კათოლიკურ რაიონში ჯარებმა მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენეს რეზინის ტყვიები და გაზი.

ლონდონი — ოკუპაციის ბრალდებულ ადამიანთა ბედი

15 ნოემბერი. (საკდესი). ტურინი, ფლორენცია, ბოლონია, კატანძარო, კოზენცა და იტალიის ბევრი სხვა ქალაქი გუშინ მძლავრი ანტიფაშისტური გამოსვლების მოწმე გახდა.

იტალიელ პარტიზანთა ეროვნული ასოციაციის, იტალიის კომპარტიის, იტალიის სოციალისტური პარტიის, იტალიის პროლეტარული ერთიანობის სოციალისტური პარტიის, პროფკავშირული და დემოკრატიული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოწოდებით ფაშისტ ბიზნესმენები იპარავდნენ მოწყობილობას, აყალბებდნენ ფინანსურ დოკუმენტაციას. მოისყიდეს პირები, რომლებსაც კონტროლი უნდა გაეწიათ მეწარმეთა საქმიანობისათვის. მეწარმეთა ასოციაციაში აღნიშნულია, რომ ისრაელ ბიზნესმენთა მაქინაციებში სინას ნახევარკუნძულზე წილი უდევთ, კერძოდ, ისრაელს იუსტიციის მინისტრს ი. შაპიროს, აგრეთვე ტელ-ავივის მმართველი ზედაფენის ზოგიერთ სხვა წარმომადგენელს.

ფაქტები

ამერიკის შეერთებულ შტატებში არ წყდება ომის საწინააღმდეგო გამოსვლები. საპროტესტო ხმები მშრომელებისა, რომლებიც მოითხოვენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, მტკიცედ გაისმის ამერიკის ქალაქებში გამართულ მიტინგებსა და დემონსტრაციებზე.

სურათზე: მშვიდობისათვის და მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლნი ფილადელფიის ქუჩებში.

ფოტო „დეილი უორლდიდან“.

ბონი — აფერა მოითხოვს

15 ნოემბერი. (საკდესი). სკანდალური აფერა „სტარფაიტერების“ გამო გულდასმით უნდა იქნეს გამოძიებული, ხოლო დამნაშავე შტრაუსი უნდა დაისაჯოს. ამას სულ უფრო დაბეჯითებით მოითხოვენ ახლა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ და ხაზოგადოებრივ წრეებში.

აფერის არსი ის არის, რომ ერთ დროს შტრაუსმა, როცა თავდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა ადენაუერის მთავრობაში, გასცა განკარგულება შეესყიდათ ამერიკის შეერთებულ შტატებში „სტარფაიტერის“ ტიპის რეაქტიული თვითმფრინავების დიდი პარტია ბუნდესვერისათვის.

ამასთან მან, აჩქარებდა რა დასავლეთ გერმანიის არმიის შეიარაღებას, უგულებელყო ამ თვითმფრინავების სერიოზული კონსტრუქციული ნაკლოვანებანი. არსებითად შტრაუსის მიზეზით მოხდა შემდეგში მთელი სერია საავიაციო ჯატასტროფებისა, რომელთა შედეგად რამდენიმე წლის განმავლობაში დაიმსხვრა 141 „სტარფაიტერი“ და დაიღუპა მრავალი მფრინავი. ჯატასტროფები დღესაც გრძელდება.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, გერმანელთა მშვიდობის კავშირის პარტიამ შტრაუსს წინააღმდეგ აღძრა სასამართლო პროცესი. ცნობილმა იურისტმა ბორგერტმა მიუნხენის პროკურატურის ორგანოებს მიმართა მოთხოვნით, რომ, საფუძველი აქვთ იმისა, რომ არ ენდონ ვაშინგტონის მშვიდობისმოყვარულ განცხადებებს.

ჩილეს დედაქალაქის სანტიაგოს მცხოვრებლები აღტაცებით შეხვდნენ 10 ნოემბერს კუბის მთავრობის დელეგაციას ფიდელ კასტროს მეთაურობით, რომელიც პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს მიწვევით ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩავიდა ჩილეში.

რეგიონალიური კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და პრემიერ-მინისტრის მიწვევა ჩილეში თვალსაჩინო მამისი წინამორბედების მსგავსად, ისტორიის ჩარხს უკუღმა ვერ დაატრიალებს. ლმის კონფერენციაზე გამოსვლისას პერუს პრეზიდენტმა ხუან ველასკო ალვარადომ აღნიშნა, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა ბრძოლა ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ყველა ჩვენი სახელმწიფოო, განაცხადა მან, იმპერიალისტური მოძალეობის ობიექტია. ამიტომ, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, ანტიიმპერიალისტური ბრძოლა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით. საჭიროა აგრეთვე პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლაც.

ამ ერთ კვირაში

საკდესის მიმოხილვა

ლონდონში მორიგი საჩუქარი მოუმზადეს სამხრეთ როდეზიელ რასისტებს. საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰიუმმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ იგი ამ დღეებში პირადად გაემგზავრება სამხრეთ როდეზიის დედაქალაქ სოლსბერში სმიტის რეჟიმთან მოსალაპარაკებლად.

აღსანიშნავია, რომ 11 ნოემბერს შესრულდა ექვსი წელი მას შემდეგ, რაც სამხრეთ როდეზიის რასისტებმა პირი შეკრეს ინგლისის კომპანიების მეპატრონეებთან, რომლებსაც მრავალმილიონიანი კაპიტალური დაბანდებანი აქვთ სამხრეთ როდეზიაში, და ხელთ იგდეს ძალაუფლება, რათა სამუდამოდ დაემკვიდრებინათ თავიანთი ბატონობა და სოლსბერი გადაექცია აფრიკის კონტინენტზე კოლონიალიზმის, რასიზმისა და იმპერიალიზმის ერთ-ერთ დასაყრდენად.

ეჭვი არ არის, რომ ინგლისს მთავრობას ყველა შესაძლებლობა ჰქონდა იმისათვის, რომ ამბოხებული რასისტები აეძულებინათ დამორჩილებოდნენ მსოფლიო საზოგადოებრიობის მოთხოვნებს. მაგრამ სწორედ ეს არ სურდათ ლონდონში. ექვსი წლის მანძილზე ინგლისის მთავრობა „აშოშმინდა“ მეამბოხეებს, რომლებიც ამ დროს განამტკიცებდნენ თავის ეკონომიურ და სამხედრო პოტენციალს, ავითარებდნენ საიდუმლო საგარეო-სავაჭრო ურთიერთობას.

ამის შედეგად, როდესაც ბოლოს ინგლისელ [illegible] ... ინგლისელ [illegible] ... ეს ... [illegible] ... ეს [illegible] ... ეს [illegible] ... ეს

ДЛЕЗ ЧВЕНИ РЕСПУБЛИКИС РАЙОНЕБШИ

ХАСПИ

ГВАТКЕОБИНЕБС ЧВЕНИ КОРЕСПОНДЕНТИ

Р. БАСИЛАШВИЛИ

ახალი ბინები

მალე ახალმოსახლეობას იზეიმებენ ქარხანა „ქასპიელექტროაპარატის“ მუშა-მოსამსახურეები. მათთვის უკვე აშენდა 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. ამჟამად მიმდინარეობს ეზოს კეთილმოწყობა. უკანასკნელი სამუშაოები მიმდინარეობს ოგრეთვე „სეიხლბოსტანის“ ქასპის დამზადების კანტორის 24-ბინიანი სახლის მშენებლობაზე.

ქასპიელ მშენებელთა სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ მათ უკვე გადასცეს საექსპლოატაციოდ 60-ბინიანი სახლი, რომელშიც შესახლდებიან ქასპის ციმენტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები. 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი კი უკვე გადაეცათ კომუნალური მეურნეობის მშრომელებს.

საბავშვო თეატრები

მიმდინარე წელს სამრეწველო საქონლის კეთილმოწყობილი მაღაზიები გაიხსნა საქადაგიანოს და მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის მშრომელებისათვის. მაღაზიები გაიხსნა აგრეთვე ქალაქ ქასპში, მეტეხში, ზემო ხანდაკში, ყარაღაჯში, თეზში, ლომისუანაში, თვალადსა და ნოსტეში.

დღეისათვის რაიონის თითქმის ყველა სოფელშია სავაჭრო ობიექტები.

ხალხური ტალანტები

რაიონში დიდი ყურადღება ექცევა კულტსაგანმანათლებელო დაწესებულებათა მშენებლობას და არსებულ შენობათა კეთილმოწყობას. წელს ბიბლიოთეკის ახალი შენობები გაიხსნა სოფლებში ჩოჩეთში, ქეჩარეხსა და ბამდლის წყაროში. არანაკლებ გაიხარეს სოფლების რენესა და გუდალეთის მცხოვრებლებმა. მათთვის გაიხსნა სასოფლო კლუბები. დღეს კულტურის ახალი სახლი აქვთ მეტეხელებსაც.

ქასპის რაიონის მესვეურები განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებიან კულტსაგანმანათლებელო დაწესებულებების არსებულ შენობათა რეკონსტრუქციას. ქასპის მუსიკალური სკოლის რეკონსტრუქციის შემდეგ სამეცადინო ოთახების ფართობს კიდევ 400 კვადრატული მეტრი მეემატება.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

რაიონის ისტორიული წარსულის და ამ ისტორიის ერთ-ერთი პროპაგანდის კერაა ქასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ამჟამად მუზეუმის ფონდში ინახება 9000-მდე ექსპონატი. ბევრი მათგანი უნიკალურია. მუზეუმის ხშირი სტუმრები არიან როგორც რაიონის მშრომელები, ისე უცხოელი სტუმრები. ახლახან მუზეუმის ექსპონატები ფიფი ყურადღებით დაათვალიერეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წევრებმა.

უფასო საგზურები

ქასპის სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილების მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის აღრიცხვაზე ეთვლება 9281 პენსიონერი. განყოფილება ყოველთვის ადიოლობს დაუმჯობესოს მათი კულტურული მომსახურების დონე.

პენსიონერთა ერთდროული ფულადი დახმარების გაცემა ხდება დანიშნული დროში. წელს 87 ინვალიდ პენსიონერზე ერთდროული დახმარების მიზნით გაიცა 870 მანეთი. 15-მა შრომის პენსიონერმა და 14 სამამულო ომის პენსიონერმა მიიღო უფასო სამკურნალო საგზური.

ქასპიდან — საზღვარგარეთ

ქასპის სამრეწველო საწარმოებს შორის თავისი პროდუქციით ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ქარხანა „ქასპიელექტროაპარატი“. ქარხანაში მზადდება სხვადასხვა ტიპის ელექტრომოწყობილობა.

„ქასპიელექტროაპარატში“ დამზადებული „ბნ-ბუ“ ტიპის მაგნიტური სადგურები იგზავნება ბულგარეთში, იუგოსლავიაში, არაბეთში, ირანში, ვიეტნამში და სხვა ქვეყნებში.

სურათზე: ქასპის ციმენტის ქარხნის კულტურის სახლი.

ხსოვნა გულისა

ჯაჯუ ჯორჯიკიას დაბადების 85 წლისთავის გამო

13 ნოემბერს თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბორის ძელაძის სახელობის პროფესიონალთა და მოსწავლეთა სასახლის თეატრალურ დარბაზში მოეწყო მწერლის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ჯაჯუ (კონსტანტინე) ივანეს-ძე ჯორჯიკიას დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ეს ღონისძიება მოაწყეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს მწერალთა კავშირმა და რესპუბლიკის პედაგოგიურმა საზოგადოებამ.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა უ. ობოლაძემ. ჯაჯუ ჯორჯიკიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მისი ნამოწაფარი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯ. მუჯირი. მოგონებებით გამოვიდნენ ჯ. ჯორჯიკიას ყოფილი მოსწავლეები, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივანი, კრიტიკოსი ბ. ოდენტი, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორი დ. სტურუა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, იურისტი პ. ნემსაძე, ყოფილი თანამშრომელი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ბ. მჭედლიძე, ჯ. ჯორჯიკიას შვილი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ჯორჯიკია.

ეი რას ამბობდნენ მასზე:

— ჯაჯუ ჯორჯიკია იყო ჩვენი საუკუნის დასაწყისის ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, დიდად განათლებული, პროგრესულად მოაზროვნე, კარგი ლინგვისტი. იგი თავისუფლად ფლობდა ფრანგულ, გერმანულ, ლათინურ, ინგლისურ და რუსულ ენებს, გამოირჩეოდა ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ხელოვნების ღრმა ცოდნით, დიდი ერუდიციით...

— მხურვალე გულის პატრიოტი, სპეტაკი ადამიანი იოსებ ოცხელსა და სილოვან ხუნდაძესთან ერთად სამშობლოსა და მშობლიური ენის სიყვარულს გვასწავლიდა. ის იყო ჩვენი არა მარტო პედაგოგი და ხელმძღვანელი, არამედ საუკეთესო მეგობარიც.

— დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა მისი გონებამახვილური სიუჟეტებზე აგებული, ღრმაზრიანი ნაწარმოებები, მისი პატარა წიგნი „ფერადი მოთხრობები“ და მოთხრობების ერთტომეული.

— თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ყველა უცხო ენას ჯ. ჯორჯიკია გვეკითხავდა და მარტო უცხო ენას კი არ გვასწავლიდა, გვასწავლიდა ადამიანების სიყვარულს, ჰუმანიზმს გვიქადაგებდა...

ჯ. ჯორჯიკია უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში იყო თბილისის პირველი საუნალო სკოლის დირექტორი. ვერ ვიტყვით, მოწოდებით რომელი სჭარბობდა მასში — მწერალი, პედაგოგი თუ საზოგადო მოღვაწე. ერთი კი ნათელია, ის იყო შესანიშნავი პიროვნება.

კიდევ ბევრი თბილი სიტყვა უძღვნეს ჯ. ჯორჯიკიას ხსოვნას, ადამიანისას, ვისი ცხოვრებაც სამაგალითო და მისაბაძი იყო ყველასათვის.

ბ. დურგლიშვილი.

დიდებული საჩუქარი

სტალინის სახელობის სანაპიროზე, თბილისის „დინამოს“ ჩოგბურთის კორტების გვერდით აღმართა ლამაზი თეთრი შენობა. ამ ახალ ნაგებობის დაეპატრონენ ქართველი ნიჩბოსნები. გასულ კვირას აქ გაიხსნა ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს ნიჩბოსნობის ცენტრალური ბაზა.

ბაზას აქვს ხუთი ვრცელი ელინგი — ნავების სადგომები, სპორტული დარბაზი კალათბურთისათვის, ტანვარჯიშისა და შტანგისათვის, 100 ადგილიანი კონფერენციდარბაზი, მწვრთნელების დასასვენებელი ოთახები და საშხაპეები.

ნიჩბოსნობის ბაზის საზეიმო გახსნაზე შეიკრიბნენ ქალაქის სპორტსმენები, სპორტული ორგანიზაციათა წარმომადგენლები. შეკრებილთ შესავალი სიტყვით მიმართა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. შარაშიძემ. რესპუბლიკის ნიჩბოსნებს ახალი სპორტული ბაზის გახსნა მიულოცა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ბეხრაშვილმა.

ნიჩბოსნობის ვეტერანმა, სპორტის ოსტატმა დ. ჭანტურიამ და სსრ კავშირის ეკს-ჩემპიონმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა დ. ხიმშიაშვილ მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას სპორტსმენებზე ზრუნვისათვის.

დასასრულ გაიმართა თბილისის, რუსთავის, მცხეთის ნიჩბოსანთა საჩვენებელი გამოსვლები. აკადემიურ ნიჩბოსნობაში მაღალი კლასი უჩვენა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის „ბრინჯაოს“ რვიანმა. (საქფოტო).

სურათებზე: ნიჩბოსნობის ცენტრალური ბაზა თბილისში. ზევით — სადგურის შენობის საერთო ხედი; ქვევით — ხაჩვენებელი ასპარეზობა ნიჩბოსნობაში რვიანით; მარცხნივ საწყლო-სათხილამურო შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ა. კაპკასიძისა.



მოძრაობის უსაფრთხოების ერთთვიური

უავარიო მგზავრობისათვის

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებისათვის მუშაობის აქტივიზაციისა და ამ მუშაობაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო გადწყვეტილება, რომ 1971 წლის 15 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე მოეწყოს რესპუბლიკის ქალაქების ქუჩებში და გზებზე ავარიების წინააღმდეგ ბრძოლის ერთთვიური. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელი ესაუბრა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსს, პოლკოვნიკ რ. თუშურაშვილს, რომელმაც თქვა:

მინისტრთა საბჭომ საავტომობილო გზების, საავტომობილო ტრანსპორტის, საავტომობილო გზების, სოფლის მეურნეობის, კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს, ეცვლაშვილის გამგეობასა და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ დაავალა გამოყონ აპარატის ხელმძღვანელი მუშაკები, რათა სახელმწიფო ავტოინსპექციას დაეხმარონ რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს გზებზე, აგრეთვე დიდ ავტომეურნეობებში ერთთვიურის მომზადებასა და ჩატარებაში. ამ სამინისტროებმა და უწყებებმა ერთთვიურში ავტომეურნეობათა მუშაკების ფართოდ ჩაბმისათვის უნდა მოაწყონ მათი მორიგეობა ქალაქების ქუჩებში და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო ავტოინსპექციასთან წეთანხმებული გეგმის მიხედვით; გააძლიერონ საზოგადოებრივი კონტროლის კომისიათა მუშაობა ავტომეურნეობებში.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან ქალაქსა და დასახლებულ პუნქტებში, შესასვლელებთან თვალსაჩინო ადგილას გამოკრან ტრანსპარანტები, რომლებიც მძღოლებსა და ქვეითად მოსიარულეებს აუწყებენ ერთთვიურის შესახებ. ტრამვაებში, ტროლეიბუსებში, მეტროსა და ავტობუსებში გააკრან ფურცლები და მიმართვები, მოწოდებანი მოსახლეობისადმი, რომ დაიცვან მოძრაობის უსაშიროების წესები. ტრანსპორტის მოძრაობისა და ქვეითად მოსიარულეებისადმი, ქუჩის მოძრაობის წესების დაცვისადმი მასობრივი კონტროლის უზრუნველსაყოფად ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სახალხო რაზმელები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს დაევალათ ავტოინსპექციების მუშაკებთან ერთად მოაწყონ მასობრივი რეიდები და ფართოდ გააშუქონ ქუჩის მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტები ტელევიზიით, რადიოთი და გაზეთების ფურცლებზე, უზრუნველყონ რეგულარული სატელევიზიო და რადიოგადაცემები მოძრაობის უსაშიროების შესახებ, გაზეთებში დაბეჭდონ სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკთა, მოწინავე მძღოლთა და საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა გამოსვლები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა უნდა გაანახორციელოს ღონისძიებანი, რათა სახელმწიფო ავტოინსპექციის, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ბელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების, ავტოტრანსპორტის სამინისტროსა და სხვა სამინისტროებისა და უწყებების შეკვეთით გამოსცეს და მოსახლეობაში გავიცელოს პლაკატები, მოწოდებანი, ფურცლები და სამახსოვროები მოძრაობის უსაშიროების თემაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი რესპუბლიკის კინოთეატრებში მოაწყობს მოძრაობის უსაშიშროებისადმი მიძღვნილი ფილმების ერთთვიურს, აგრეთვე კინოთეატრებში, კულტურის სახლებსა და ყველა სანახაობითს დაწესებულებაში მოაწყობს ფოტოვიტრინებს ამ თემაზე.

საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ ნებაყოფლობით საზოგადოებას მინისტრთა საბჭომ დაავალა გაშალოს ახსნა-განმარტებითი მუშაობა სატრანსპორტო საშუალებების ინდივიდუალურ მფლობელთა შორის.

განათლების სამინისტრომ სახელმწიფო ავტოინსპექციის დახმარებით რესპუბლიკის ყველა სკოლებში უნდა გამართოს საუბრები, რათა მოსწავლეებს განუმარტოს ერთთვიურის ამოცანები, რომ თავიდან იქნეს აცილებული ბავშვთა ტრავმატიზმი, მოაწყოს სკოლებში შშობელთა, პედაგოგთა და პიონერხელმძღვანელთა მორიგეობანი.

მინისტრთა საბჭომ შინაგან საქმეთა სამინისტროს, კერძოდ, დაავალა რესპუბლიკის ყველა ავტომეურნეობისათვის გამოყოს სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლები, რათა დაეხმარონ ერთთვიურის მომზადებასა და ჩატარებაში, პერიოდულად შეამოწმონ ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობა ხაზზე გასვლის წინ და გარაჟში დაბრუნების შემდეგ; სახლთმმართველობისა და მშობელთა უნივერსიტეტების საშუალებით მოაწყოს საუბრები მშობლებთან თემაზე „მოარიდეთ ბავშვები ქუჩის ტრანსპორტს“; ამერკაკავასიის რკინიგზის სამმართველოს საღიანდგარ სამსახურის მუშაკებთან ერთად მოაწყოს გაძლიერებული კონტროლი მძღოლთა მიერ გზაჯვარედინებზე მოძრაობის წესების დაცვისადმი.

იმედია, — თქვა საუბრის დასასრულს რ. თუშურაშვილმა, — რომ ერთთვიური ხელს შეუწყობს ქუჩებში, გზებზე და გზაჯვარედინებზე ავტოავარიების მინიმუმამდე შემცირებას.

სხვა გაზეთებიდან

სისხლის გასაწმენდი აპარატი

შვეიცარიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ პროფესორმა ჰოლგერ ჰიდენმა გამოიგონა შხამებისაგან სისხლის გასაწმენდი აპარატი.

ხელსაწყოს, რომელიც გაბარიტებით სიგარეტების ორ დასტას არ აღემატება, წერს გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი“, ავადმყოფის წინამხარზე ამაგრებენ და პლასტიკის შლანგის დახმარებით არტერიას უერთებენ. აპარატში გამავალი სისხლი გარს შემოეფინება სპეციალური ნივთიერების თხელი ფენით დაფარულ და ერთიმეორისაგან 0,7 მილიმეტრ მანძილზე განლაგებულ ათ ფირფიტას. ხელსაწყოს აქვს საკონტროლო მოწყობილობა, რომელიც ჩაინიშნავს სისხლის წითელი სხეულაკების დაშლას, სისხლის წნევის დაწევას ან სისხლის დენის შეწყვეტას მისი შედეგების შედეგად. საკონტროლო მოწყობილობა ენერგიას ელექტრობატარეიებიდან იღებს.

ახლა დაიწყო ხელსაწყოს გამოცდა. რომში, მაგალითად, იკვლევენ იმის შესაძლებლობას, რომ მისი დახმარებით გაწმინდონ სისხლი ძილის მომგვრელი ნივთიერებებისაგან, ვერცხლისწყლისაგან, ტყვიისაგან. თუ ექსპერიმენტებს კარგი შედეგები ექნება, მაშინ, ტოქსიკოლოგების ვარაუდით, შეიქმნება საშიშ მოწამვლებთან ბრძოლის ახალი შესაძლებლობანი.

წარმატებით მიმდინარეობს სისხლიდან ანტისხეულების გამოყენებაზე ექსპერიმენტები. აპარატს სცდიან აგრეთვე სისხლის გასაწმენდად იმ მავნე ნივთიერებათაგან, რომლებსაც თირკმელები აშორებენ ორგანიზმს.

პროფესორი ჰიდენი ხაზს უსვამს, აღნიშნავს გაზეთი, რომ მისი გამოგონების კლინიკური გამოყენების დარგები ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გამოკვლეული. ჯერჯერობით მხოლოდ ცნობილია, თქვა მან, რომ მედიცინის წინაშე ახალი შესაძლებლობანი ისახება.

„პრავდა“.

გრძელდება ხელმოწერა

საერეკლამო - საინფორმაციო ფერად ყოველკვირეულ „ცნობის ფურცელზე“

ყოველკვირეული ბეჭდავს:

რეკლამებს ქალაქისა თუ სოფლის მაღაზიებში მიღებულ ახალ საქონელზე, სად შეიძლება მათი შეძენა; როგორი ფასონის ტანსაცმელი ან ფეხსაცმელია მოდური და სად შეიძლება შეკვეთა თუ ყიდვა; ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების რა ახალი ობიექტები გაიხსნა და რა სამსახურს გვთავაზობენ.

„ცნობის ფურცელში“ წაიკითხავთ:

ნობის ურცელი

ვის აქვს გასაცვლელი ბინა ან ავარაკი, ვინ ყიდის ან იყიდის კერძო სახლს თუ ოთახს; სად შეიძლება სასწავლებლად თუ სამუშაოდ მოწყობა; რა კონკურსებია გამოცხადებული სამეცნიერო დაწესებულებებში ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად; რომელი ორგანიზაცია ყიდის მისთვის ზედმეტ მოწყობილობას ან მასალებს და ა. შ.

დიასახლისების, ტურისტებისა და ავტომოყვარულთათვის ყოველკვირეული აქვეყნებს სასარგებლო რჩევა-დარიგებას, აგრეთვე მრავალი სხვა საინტერესო ამბებს.

„ცნობის ფურცელი“ წლიურად ღირს 1 მან. და 4 კაპ. 6 თვით — 52 კაპ., 3 — თვით — 26 კაპ.

სსრ კ. ეკ-ის გამომცემლობა.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატი

აცხადებს, რომ დაიწყო მსმენელთა მიღება მოსამზადებელ კურსებზე. იმ პირთათვის, რომლებსაც სურთ შესვლა ინსტიტუტის ღამის, საღამოს დაუსწრებელ განყოფილებებზე:

კურსებზე იწარმოებს ყველა იმ საგნის სწავლება, რომლებსაც ინსტიტუტში შემოსვლისას მისაღებ გამოცდებზე აბარებენ.

კურსებზე ასწავლიან ინსტიტუტისა და საშუალო სკოლის მაღალკვალიფიციური მასწავლებლები.

კურსები სამეურნეო ანგარიშზეა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე 10 საათიდან 18 საათამდე.

მისამართი: თბილისის 112-ე საშუალო სკოლა. ოქტომბრის ქუჩა, 28; ტელ. 9-40-80.

ნაკრების მოგაკეალი შესვედრები

ვეოთხელდფინალის წინ

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც ემზადება ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩებისათვის, ამ დღეებში ოთხ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. 14 ნოემბერს იგი საზღვარგარეთ გაფრინდა. პირველი შეჩერება ნაკრებს დასავლეთ ბერლინში ექნება, სადაც 16 ნოემბერს შეხვდება ადგილობრივ გუნდს — „ტენნის-ბორუსიას“.

ჩვენი ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვალენტინ ნიკოლაევმა და მწვრთნელმა ალექსი პარამონოვმა გუნდის შემადგენლობაში შეიყვანეს შემდეგი ფეხბურთელები: მეკარეები — რუდაკოვი და ბანაკოვი; მცველები — ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი და ზიკოვი; ნახევარმცველები — კოლტოვი, კოტკოვი, დოლმატოვი, კისელიოვი და ფედოტოვი; თავდასხმელები — ოშტოიანი, ბიშოვეცი, ევრიუჟინი და შევჩენკო. (საკდეს).

რ. ფიშერი არ ითამაშებს

ა. ალიოხინის მემორიალი

მთავრდება მზადება მოსკოვის დიდი საერთაშორისო ტურნირისათვის, რომელიც გენიალური რუსი მოჭადრაკის ა. ალიოხინის გარდაცვალებიდან 25 წლისთავს ეძღვნება.

ა. ალიოხინის მემორიალში 18 უძლიერესი გროსმაისტერი მიიღებს მონაწილეობას. მოწვევა გაგზავნა 9 უცხოელ გროსმაისტერს, როგორც ცნობილი გახდა, მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი რ. თიშერი მოსკოვში არ ითამაშებს. მისმა სიკუნდანტმა ედმონდსონმა განაცხადა, რომ ეს აიხსნება ორი გარემოებით — ჯერ ერთი, ძალიან ცოტა დრო გავიდა ტ. პეტროსიან-რ. ფიშერის მატჩის დამთავრებიდან, და მეორე — პრეტენდენტმა მიიღო არგენტინის საჭადრაკო ფედერაციის წინადადება დიდი საგასტროლო ტურნეს შესახებ.

ა. მედვედის პრიზზე

მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონის ალექსანდრე მედვედის პრიზის გათამაშება თვიესუფალ ჰიდამბაში, რომელიც მინსკში შედგა, მონაწილეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, კუბის, ფინეთის, რუმინეთისა და სსრ კავშირის 35 უძლიერესი ათლეტი.

ისევე როგორც შარშან, სტუმრებიდან თავი ისახელა გ. შპინგლერმა (გდრ, საშუალო წონა), სამ სხვა წონაში წარმატება საბჭოთა მოჭიდავეებს ხვდათ. 90 კილოგრამამდე წონაში უძლიერესი იყო რ. რუდერმანი, 100 კილოგრამამდე წონაში — ს. ლისაფონი.

100 კილოგრამაზე ზევით წონის ათლეტთა შორის ჩინებულად გამოვიდა ქართველი მოჭიდავე **ნოდარ მოდებაძე.** მან პირველი ადგილი დაიკავა.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

გუშინ ფინეთში ჭრონდა საკავშირო ჩემპიონატს ფეხბურთში უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის. უკანასკნელი მატჩი შედგა ოდესაში მოსკოვის „ტორპედოსა“ და მინსკის „დინამოს“ გუნდებს შორის. შეხვედრის შედეგია ფრე — 3:3.

ამრიგად, შეიცვა ჩემპიონატის სატურნირო ცხრილი, ცნობილია პრიზიორები და მომდევნო ადგილების მფლობელები, აგრეთვე ისინიც, რომლებმაც დატოვეს უმაღლესი ლიგა.

გაოთამაშების საბოლოო ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ.)	30	17	10	3	41-17	44
„არარატი“	30	13	11	6	37-28	37
„დინამო“ (თბ.)	30	14	8	8	33-33	36
„ზარია“	30	11	11	8	29-23	33
„დინამო“ (ვ.)	30	9	13	8	35-22	31
„სპარტაკი“	30	9	13	8	35-31	31
„ტორპედო“	30	4	20	6	27-27	28
„კაირატი“	30	9	10	11	36-40	28
„ნეფტჩი“	30	9	10	11	30-34	28
„კარპატი“	30	5	18	7	30-35	28
„დინამო“ (ეს.)	30	8	12	10	36-43	28
„ცსკა“	30	7	12	11	34-36	26
„ზენიტი“	30	8	10	12	29-32	26
„ცსკა“	30	9	8	13	35-43	26
„პახტაკორი“	30	8	10	12	29-46	26
„შახტიორი“	30	10	4	16	31-37	24

ᲞᲐᲕᲔᲜᲐ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲔᲑᲡ

მიმდინარე წლის მიწურულში ერთ-ერთი მიმზიდველი ასპარეზობა ჰავანის მსოფლიო ჩემპიონატი იყო მხატვრულ ტანვარჯიშში. 17 ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. ძირითადი ბრძოლა ბულგარეთისა და საბჭოთა სპორტსმენებს შორის წარმართა და საპრიზო ადგილებიც მათ მოიპოვეს.

როგორც შარშან, წელსაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა ბულგარელმა მ. გიგოვამ, რომელმაც 38,15 ქულა შეაგროვა. მეორე და მე-სამე ადგილები დაიკავეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა — მოსკოველმა ე. კარპუზინამ (37,85 ქულა) და სვერდლოვსკელმა ა. ნაზმუტდინოვამ (37,70 ქულა).

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ პირსა და ორგანიზაციას, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი ოჯახის ორმა მშვენიერმა გიორგი ალექსანდრეს-ძე ლომთათიძის ღვაწლიანი ცხოვრებისა და ბრძოლა ბულგარეთის ფაშისტურ ტყვეობაში.

ბ. ლომთათიძის ოჯახი.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

16 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 12.30 — მხატვრული ფილმი „ცოცხალი ლეში“ (პირველი სერია), 17.05 — ამბტრიენტმა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 17.50 — კინონარკვევი, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — პროგრამა ბავშვებისათვის — „ციცოდილის ეკრანი“, 18.25 — ნორჩ მათემატიკოსთა საკავშირო სიმპოზიუმი, 19.05 — განცხადებები, 19.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „პარიზი, პარიზი“..., 19.35 — გადაცემა „დავწყმოსილი პედაგოგი“ — დიმიტრი მგელაძე, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — კონცერტი, 20.55 — კინონარკვევი, 21.10 — სტუდიაში ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, 21.50 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — გადაცემა „ჭართული კინოს წარსულიდან“ — „დაკარგული სამოთხე“.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

18.20 — სკოლების დასახმარებლად ფრანგული ენა, 19.05 — სკოლების დასახმარებლად — დაწყებითი კლასები (პირველ კლასში რუსული ენის ექსპერიმენტული სწავლების გამოცდილებიდან), 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 20.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ნახატი ფილმი, 21.15 — საქართველოს ფერადი დადგმა „ძველი ციხე-სიმაგრის აჩრდილები“ (მესამე და მეოთხე სერია).

17 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის — პიონერია მარშზე“ — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — საქართველოს ფილმი — „მუსლიმა“, 12.35 — მხატვრული ფილმი — „ცოცხალი ლეში“ (მეორე სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — მეგნეტოფონული კომუნიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად „საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია და სოციალისტური დემოკრატია“, 18.30 — მოსწავლეთათვის „კომკავშირული აქტივის ტრიბუნა“, 19.05 — განცხადებები, 19.10 — „ეთერშია ახალგაზრდობა“ — სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გადაცემა — (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — სპორტსმენის რჩევა — როგორ გავსხლთო ხეზილი“, 20.20 — კინონარკვევი — 20.40 „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — „მსოფლიოს ახალგაზრდობის ზეიმი“, 21.25 — სატელევიზიო ფილმი, 21.45 — გადაცემა — „ზოთა იამანიძის სახელობის“, 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა — (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — ხალხური შემოქმედების პირველი რესპუბლიკური სატელევიზიო ფესტივალი.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

18.20 — სკოლების დასახმარებლად საზოგადოებათმცოდნეობა (საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო), 19.05 — სკოლების დასახმარებლად ბიოლოგია (ციტოპლაზმა და მისი ორგანოები), 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ხაზვაში. 20.55 — ტექნიკუმების მოსწავლეთა დასახმარებლად ლექცია ტექნიკურ მექანიკაში, 21.40 — სატელევიზიო დადგმა „ძველი ციხე-სიმაგრის აჩრდილები“ (მეხუთე სერია).

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

16 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალე